



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #31 თებერვალი, 2014

გამოშვებაში
წაიკითხავთ

იუსტიციის სამინისტროს დელეგაციამ ციურხში
საერთაშორისო სემინარში მიიღო მონაწილეობა

1 იუსტიციის
სამინისტროს
დელეგაციის
ვიზიტი
ციურხში

2 ელექტრონული
საქმისწარმოების
პროგრამა
მუნიციპალიტეტებში

2 სემინარი
ელექტრონული
არქივის
საკითხებზე

3 შეხვედრა 42-ე
საჯარო სკოლის
მოსწავლეებთან

4 სააგენტოს
თანამშრომლების
გასვლითი
სამუშაო
შეხვედრა
ყაზბეგში

4 საქართველოს
რკონიგზის
ბილეთების
გაყიდვის
ელექტრონული
პროგრამა



იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ბურჭულაძის ხელმძღვანელობით ციურხში იმყოფებოდა. დელეგაციის წევრებმა საერთაშორისო სემინარის მუშაობაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ქსელური პრობლემების მონიტორინგის და მათზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების საკითხებს ეხებოდა.

სემინარის მონაწილეებმა - სხვადასხვა ქვეყნების კომპიუტერული და ქსელური მხარდაჭერის გუნდებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს, გაეცნენ IT ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს და

კომპიუტერული უსაფრთხოებისა და ინციდენტების აღმოფხვრის მეთოდოლოგიაზე იმსჯელეს.

"სემინარისათვის კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი SWITCH-CERT (Computer Emergency Response Team) შეირჩა, რადგან ის ერთ-ერთი ყველაზე პროფესიონალური ჯგუფია ევროპაში. განსაკუთრებით დიდი გამოცდილება SWITCH-CERT-მა ქსელურ მონიტორინგის სერვისში დააგროვა, რაც მონაწილეებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა", - აცხადებენ სამინისტროში.

სასწავლო ვიზიტის მიზანი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT.GOV.GE) ქსელური მონიტორინგის სერვისის გაფართოება და გაუმჯობესებაა, რათა იოლად გამოვლინდეს შესაძლო საფრთხეები და დროულად მოხდეს მათი აღმოფხვრა.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ქალაქიონური აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა მუნიციპალიტეტებში



21 თებერვალს, სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და 7 მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში ახმეტის, ყვარლის, ხაშურის, ქარელის, გარდაბნის, თეთრიწყაროს და ხობის მუნიციპალიტეტი ჩაერთვება.

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები,

ელექტრონულად დაიგზავნება, რაც ადრესატამდე დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდებას, მათ დამუშავებას, რეაგირებას და კონტროლს მნიშვნელოვნად გაამარტივებს.

ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცემა საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში ჩართულ მუნიციპალიტეტებში წერილი, მოთხოვნა ან საჩივარი სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, ელექტრონულად გააგზავნონ და პასუხი ელექტრონულადვე მიიღოს.

კორესპონდენციაზე პასუხის მზადყოფნისთანავე მოქალაქეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტითა და მოკლე ტექსტური შეტყობინებით. საჯარო ორგანიზაციის პასუხის სრულად ნახვა კი მოქალაქეს პორტალზე MY.GOV.GE, „შესრულებული დავალებების“ სექციაში შეუძლია. მომხმარებელს აქვე ექნება საშუალება, დაათვალიეროს მის მიერ სხვადასხვა დროს ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციაში გაგზავნილი წერილები და მიღებული პასუხები.

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის საშუალებით მოქალაქეებს, მუნიციპალიტეტებსა და ელექტრონულ პროგრამაში ჩართულ სხვა სამთავრობო უწყებებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გამარტივდება. დოკუმენტების ელექტრონული მიმოცვლა დაზოგავს დროსა და მატერიალურ ხარჯებს.

სემინარი ელექტრონული არქივის ფორმირების საკითხებზე



26-27 თებერვალს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივითა და ევროკავშირის დამშობილების (TWINNING) პროექტის მხარდაჭერით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ელექტრონული არქივის ფორმირების საკითხებზე სემინარი გაიმართა.

სემინარი მიზნად ისახავდა საქართველოში ციფრული არქივის პროექტის ინიცირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და მომსახურების საკითხებს.

სემინარს უმრავლესდნენ წამყვანი ავსტრიელი ექსპერტები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება ციფრული

მონაცემების შენახვის მიმართულებით. სემინარი ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი ორგანიზაციებისთვის (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

დღეისათვის ელექტრონული დოკუმენტების სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასავრცელებლად გამოყენება კიდევ უფრო აქტიურ სახეს იძენს და ეტაპობრივად ანაცვლებს ტრადიციულ მეთოდს - ქალაქის დოკუმენტბრუნვას.

ელექტრონული დოკუმენტების მზარდი გამოყენება დღის წესრიგში აყენებს ამ დოკუმენტების ციფრულად დახარისხებისა და შენახვის აუცილებლობას, რაც დამოკიდებულია ელექტრონული არქივის არსებობაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სხვადასხვა ასპექტების გათალისწინებას, როგორცაა ტექნიკური, ორგანიზაციული და მარეგულირებელი საკითხები.

სემინარის მონაწილეებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს მონაცემების ციფრულად შენახვის, ღია საარქივო საინფორმაციო სისტემისა (OAIS – Open Archive Information System) ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესახებ.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ი. ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრა გამართეს.

სააგენტოს წარმომადგენლები სკოლას მესამედ ეწვივნენ. პირველი 2 შეხვედრა შარშან გამართა და მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია სააგენტოს საქმიანობის, თანამედროვე ტექნოლოგიების

განვითარების ეტაპებისა და ელექტრონული მმართველობის შესახებ.

მესამე შეხვედრა მთლიანად დაეთმო ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებს.

„42-ე საჯარო სკოლასთან ჩვენ უკვე გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება. ვინაიდან აღნიშნული სკოლა ტექნიკური პროფილისაა, მოსწავლეთა შორის ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ინტერესი განსაკუთრებით დიდია. საკუთარი ინიციატივით ამ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ ინტერნეტ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, ეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეტაპებს. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ვისაუბრეთ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, გავაცანით ონლაინ უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხდებით კომპიუტერთან მუშაობისა თუ მობილური მოწყობილობების გამოყენებისას. ასევე გადავეცით შესაბამისი თემატური საილუსტრაციო მასალა.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დამმობილების (TWINNING) პროექტის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა გასვლით შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა



ორგანიზაციაში გუნდური მუშაობის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა დამმობილების პროექტის ფარგლებში ყაზბეგში გასვლითი შეხვედრები გამართეს. სამი დღის განმავლობაში სააგენტოს თითოეულმა სამმართველომ დეტალური ანგარიში წარმოადგინა გაწეული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, ასევე განხილულ იქნა სააგენტოში მიმდინარე სხვადასხვა პროექტების განხორციელების ეტაპები და არსებული მდგომარეობა.

„ასეთი შეხვედრები გუნდური მუშაობის ხარისხის ამაღლებას, გუნდში თითოეული თანამშრომლის მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად გვიწევს ერთმანეთთან მუშაობა, ჩვენი სააგენტოს თითოეული სამმართველოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის არაფორმალურ გარემოში გაზიარება ძალიან საინტერესო იყო. პარალელურად, ჩვენი ჩვენი კოლეგები უკეთ გაეცნენ იმ პროექტებს, რომლებზეც მონაცემთა გაცვლის სააგენტო ამჟამად მუშაობს.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

საქართველოს რკინიგზის მიერ დანერგული ბილეთების ელექტრონულად გაყიდვის პროგრამა სომხეთშიც ამოქმედდა



შპს „საქართველოს რკინიგზის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ შექმნილი რკინიგზის ბილეთების გაყიდვის აღრიცხვის პროგრამა, რომელიც უკვე 2005 წლიდან წარმატებით მოქმედებს, სომხეთის რკინიგზაზეც დაინერგა. სოხუმრა მხარემ აღნიშნული პროგრამა 200 ათას დოლარად შეიძინა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქართველი IT სპეციალისტების მიერ შექმნილი პროგრამა საზღვარგარეთ წარმატებით გაიყიდა.

პროგრამა უზრუნველყოფს ორ ქვეყანას შორის მოძრავი მატარებლის ბილეთების რეალიზაციის სრულ აღრიცხვას, მგზავრებისთვის კი ამარტივებს სასურველი ბილეთის დაჯავშნისა და შეძენის პროცედურას. პროგრამის მეშვეობით მგზავრი ონლაინ რეჟიმში ირჩევს სასურველ მიმართულებას, მგზავრობის დროს და საკუთარ ადგილს ვაგონში, რის შემდეგაც ბილეთის საფასურს საბანკო პლასტიკური ბარათით იხდის. ორმხრივი შეთანხმების შედეგად პროგრამა რუსულ ენაზე ითარგმნა.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლებმა სომხეთის რკინიგზის პერსონალს 1 თვიანი ტრენინგი ჩაუტარეს პროგრამის გამოყენებასა და მის მუშაობასთან დაკავშირებით.

2011 წლის 9 აპრილს, სომხეთის რკინიგზასა და საქართველოს რკინიგზებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომლის მიხედვით, მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა ითანამშრომლონ მგზავრთა გადაყვანის, სარკინიგზო გადაზიდვების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინფორმაციის გაცვლისა და სხვა სარკინიგზო ღონისძიებების საკითხებში.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
 თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
 ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ
 საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ
 გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
 მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში
 მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდეთ თქვენი
 ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე:
www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს
 საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ
 გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
 მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში
 მიუთითოთ **“Unsubscribe”**.